ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბრძანება:**ბ37.37211961**
თარიღი:**15/07/2021**

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სამდივნო განყოფილების მე-3 რანგის მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტის იურიდიულ საკითხებში - ენვერ ჯაფარიძისათვის დროებით დამატებითი ფუნქციების დაკისრების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის 3-ე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 2-ე პუნქტის ,,ა'' ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის და ,,საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლისა და 30-ე მუხლის პირველი პუნქტის *შესაბამისად,*

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

მუხლი 1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სამდივნო განყოფილების მე-3 რანგის მე-2 კატეგორიის უფროსს სპეციალისტს იურიდიულ საკითხებში - ენვერ ჯაფარიძეს, თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან განთავისუფლების გარეშე, დამატებით დაეკისროს, ამავე საკრებულოს აპარატის სამდივნო განყოფილების უფროსის ფუნქციების შესრულება 2021 წლის 19 ივლისიდან 2021 წლის 30 ივლისის ჩათვლით და მას თანამდებობრივ სარგოსთან ერთად, დამატებითი ფუნქციების შესრულების პერიოდში, მიეცეს სახელფასო დანამატი თანამდებობრივი სარგოს 40%-ის ოდენობით.

მუხლი 2. დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

მუხლი 3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი ი. სიორიძის ქუჩა №14, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს VIII თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 4. ბრძანება ძალაშია მხარეთა გაცნობისთანავე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი